# სახალხო განათლება+

„ქვეყანად არცერთი ბრძენი არ იყო,
მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 4 (4543) ● 22 თებერვალი ● 2017 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი ●


## კათედრა — კეთილი კოორდინატორი

# მესაძირკვლენი „დედა ენისა“

**იაკობ გოგებაშვილმა** დედაენას **„ბურჯი ეროვნებისა“** უწოდა. დაწყებითი განათლების საძირკველზე შენდება მთელი სისტემა სწავლა-აღზრდისა. ამიტომ მისი საძირკველი მყარი, მეტად მტკიცე უნდა იყოს. ეს ჭეშმარიტება შესანიშნავად აქვთ გასიგრძეგანებული საქართველოში ყველაზე სახელოვანი სკოლის — თბილისის კლასიკური გიმნაზიის დაწყებითი კლასების პედაგოგებს და გატაცებით მოღვაწეობენ ამ საძირკვლის სიმყარისათვის, ცდილობენ გაამართლონ ის მაღალი შეფასება, რაც პირველ მასწავლებელს ერთი პოეტის პირით ცეროდენებმა მისცეს: **„შეგვასწავლა ანი-ბანი, შეგვაყვარა დედაენა, თავს გვევლება, ფრთებს გვისწორებს, რომ თამამად შევძლოთ ფრენა“**.



მათემატიკის ენით თუ ვიტყვით, საგნობრივი კათედრების მოქნილი მუშაობა პირდაპირპროპორციულია სწავლების ხარისხისა. ამ კუთხით კი დაწყებითი კლასების პედაგოგები ნამდვილად არიან ორიენტირებულნი მაღალ შედეგებზე. მათ აქტიურად უდგათ მხარში გიმნაზიის შემოქმედი დირექტორი **თამარ კაპანაძე** და გამოცდილი მოადგილეები: **იზა უბილავა**, **ნინო ბერაძე**, **მაია აფხაიძე**.

კათედრის საქმიანობაზე მოკლედ მოგვითხრობს ინიციატივიანი, გამოცდილი, სიახლისმაძიებელი პედაგოგი, დაწყებითი საფეხურის სწავლა-სწავლების კოორდინატორი **ეთერ სარალიძე**.

***

**დაწყებითი** კლასების მასწავლებელს დიდი მისია აკისრია. იგი პირველი ეხება პატარების ფაქიზ სამყაროს. პირველი მასწავლებელი მოზარდში აღვივებს სწავლის ინტერესს, აკვალიანებს მას ცხოვრებაში, უვითარებს უნარ-ჩვევებს. **მთელი ცხოვრება რჩება ბავშვის მეხსიერებაში პირველი მასწავლებელი.**

ამ დიდ მიზანს ღირსეულად ემსახურებიან კლასიკური გიმნაზიის დაწყებითი კლასების მასწავლებლები.

დაწყებით საფეხურზე 25 კლასია. მეთოდგაერთიანების სხდომებზე ხშირად იხილება სწავლებისა და აღზრდის აქტუალური საკითხები. ყოველწლიურად იზრდება სერთიფიცირებულ მასწავლებელთა რაოდენობა. გვყავს სერთიფიცირებული მასწავლებელი **ხ. ბაჯელიძე**, რომელმაც საუკეთესო შედეგები აჩვენა გამოცდებზე. წელს სასერთიფიკაციო გამოცდები წარმატებულად ჩააბარა მასწავლებელმა **მერი პაიჭაძემ**. იგი მოხვდა 31 გამარჯვებულ მასწავლებელს შორის. ჩვენი დაწყებითები მუდმივად არიან ჩართული ტრენინგ-პროგრამებში და იმაღლებენ პროფესიულ დონეს. მათი შემოქმედებითი ღვაწლის ნაყოფია მათ მიერ შექმნილი **ლოგიკის კრებული I-II კლასის მოსწავლეებისათვის „გაერთე და იაზროვნე“**, რომელმაც გაიმარჯვა მასწავლებელთა სახლის მიერ გამოცხადებულ კონკურსში. კრებულის ავტორები არიან ჩვენი გიმნაზიის ნოვატორი მასწავლებლები: **ნ. ხვინგია**, **თ. ბზიკაძე**, **რ. არეშიძე**, **ნ. ჩაკვეტაძე**. მათ შექმნეს საინტერესო და სახალისო წიგნი, რომელიც ჩვენს მოსწავლეებს დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

უკვე 2 წელია, რაც დირექტორის, ქალბატონ **თამარ კაპანაძის** ხელშეწყობით, გიმნაზიაში **ლოგიკის გაკვეთილები ტარდება**. ეს ხომ სიახლეა და გვეამაყება, რომ ჩვენი პრაქტიკოსი მასწავლებლები არიან ამ კრებულის ავტორები. ამჟამადაც ჩვენი მასწავლებლები **თ. ალავიძე**, **ნ. ლომსაძე**, **ნ. ხვინგია** მუშაობენ საინტერესო სახელმძღვანელოზე და აპირებენ წარადგინონ ის გრიფირებაზე.

ვახორციელებთ ახალ პროექტებს. ერთ-ერთი ასეთია შთამბეჭდავი პროექტი **„საქართველოს კუთხეები“**, მე-3 და მე-4 კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს თეატრალური კომპოზიციები (მასწავლებლები: **მ. ღუდუშაური**, **ნ. გვათუა**, **ნ. ქუთელია**, **მ. ჯოხაძე**, **თ. დათუკიშვილი**. **ხ. ბაჯელიძე**. **თ. ბური**, **ნ. ხვინგია**, **ნ. ბოჭორიშვილი**). ეს იყო დაუვიწყარი კვირეული. მოწვეული იყვნენ საპატიო სტუმრები.

გიმნაზიაში, სადაც **გიორგი ერისთავმა** დადგა პირველი ქართული სპექტაკლი, დღესაც გრძელდება ძვირფასი ტრადიცია. გიმნაზიაში გამართული **„ზღაპრების კვირეულის“** გამარჯვებული სპექტაკლები აჩვენეს მოზარდ მაყურებელთა თეატრში. ამ სპექტაკლების დამდგმელები არიან მასწავლებლები **ე. მესხი-ჯოლია** და **თ. ბზიკაძე**. სპექტაკლები საქველმოქმედო იყო და შემოსული თანხის ნაწილი **„კათარზისის“** მოხუცთა სახლს გადაერიცხა, ნაწილი კი **ბედიანის ბავშვთა სახლის** აღსაზრდელებს.

ტრადიციად იქცა ასეთი შეხვედრები. მოხუცებს ხშირად საჩუქრებს ვუკეთებთ, ბარბარობას კი — კონცერტებით ვსტუმრობთ. საკონცერტო ნომრებს ჩვენი გიმნაზიის მუსიკის მასწავლებელი **თ. კოპალიანი** ამზადებს, გემოვნებით შერჩეული სიმღერები კი გულს უთბობს მოხუცებს. პოპულარულია მუსიკის მასწავლებლის **ნ. ჯულაყიძის** კონცერტები და საღამოები. მან პირველად დადგა ჩვენს გიმნაზიაში საბავშვო მიუზიკლი **„დიდება მზეს!“** ამან კი დასაბამი დაუდო მრავალ საინტერესო ღონისძიებას.



იმართება გამოფენები, რომელსაც ხელმძღვანელობს ხელოვნების მასწავლებელი **ნ. ღონღაძე**, იგი აოცებს დამთვალიერებლებს ორიგინალობით და ფერადოვნებით.

ქალბატონი **დოდო წილოსანი-ნამგალაძე** ყოველწლიურად აწყობს ხელოვან მოსწავლეთა კონცერტს, ეს კი არის მხატვრობის და მუსიკის ზეიმი.

ქალბატონი **მერი ბეჟანიშვილის** ხელმძღვანელობით სკოლაში ხშირად ეწყობა მხატვარი მოსწავლეების პერსონალური გამოფენები.

მოსწავლეები კონკურსებში მუდამ იმარჯვებენ, რაც **მერი ბეჟანიშვილის** დამსახურებაც არის. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები **„კინგსის“**, **„ევერესტის“**, **„სმარტის“**, **„ლოგიკმეტრის“**, **„იმედი ხვალის“**, კონკურსებში. ესენი არიან მასწავლებლების **ნ. ლომსაძის**, **მ. ჯოხაძის**, **ნ. ხვინგიას**, **გ. ნუცუბიძის**, **ლ. სეხნიაშვილის** აღსაზრდელები. **„კინგსის“** ოლიმპიადაში მოსწავლეთა წარმატებული მონაწილეობის და მომავალი თაობის აღზრდაში შეტანილი წვლილისათვის მასწავლებლები **მ. ჯოხაძე** და **ნ. ქუთელია** დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებით.

ყოველწლიურად გამართულ ბერძნული კულტურის დღეებზე ჩვენი მოსწავლეები მუდამ გამარჯვებულები გამოდიან. ასე იყო შარშანაც, როდესაც პედაგოგ **ნანა ჭანტურიას** დადგმულმა სპექტაკლმა **„არგონავტები“** საპატიო ადგილი დაიკავა. გიმნაზიაში ტრადიციულად ტარდება კალიგრაფიის კონკურსი, რომელიც **იაკობ გოგებაშვილის** იუბილეს ეძღვნება. წელსაც ჩატარდა ასეთი კონკურსი. გამოირჩეოდნენ მასწავლებლების **მ. აბაშიძის**, **თ. ალავიძის**, **მ. დვალის**, **ნ. ლომსაძის**, **თ. მამუჩიშვილის**, **ბ. ჯოხაძის**, **მ. გოჩელაშვილის** მოსწავლეები. ისინი საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ.

შარშან პირველად ჩატარდა ოლიმპიადა ინგლისურ ენაში (მასწავლებლები: **ნ. არაბული**, **შ. შავდია**, **ე. მიქაძე**). ამ პედაგოგებმა კარგი მუშაობით სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს მასწავლებელთა კოლექტივში.

არაერთი სპორტული ღონისძიების ორგანიზატორები არიან სპორტის მასწავლებლები **პ. ნოზაძე**, **ა. ხომასურიძე**, **ნ. ქავთარაძე**.

საშობაოდ საქველმოქმედო აქცია მოაწყო მასწავლებელმა **ი. კალმახელიძემ**. მისმა აღსაზრდელებმა ჩვილ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს გადასცეს სურსათსანოვაგე და ტანსაცმელი.

**კიდევ ბევრი საქებარი სიტყვის თქმა შეიძლება დაწყებითი საფეხურის პედაგოგთა ნაყოფიერ მოღვაწეობაზე.**

**ეთერ სარალიძე**




## ხელმომწერთა საყურადღებოდ!

**გაზეთი „სახალხო განათლება+“**-ის გამოსაწერად საჭიროა, გადარიცხოთ წლიურად 20 ლარი (ნახევარი წლით — 10 ლარი) შემდეგ ანგარიშზე:

ს/ს „თიბისი ბანკი“ კოდი **TBCGBGE 22**

მიმღები: პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი: „სახალხო განათლება+“

ა/a **GE 94TB7249236080100007**

ს/კ 402010587

ელფოსტა: **saxgani@gmail.com**

გამოაგზავნეთ თქვენი მისამართი, სადაც უნდა მოგეწოდოთ გაზეთი.

## თბილისის 152-ე საჯარო სკოლაში

# ინკლუზიური განათლება აქ ყურადღების ცენტრშია





**„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის“** მიხედვით, შშმ პირებისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინკლუზიური, ხარისხიანი, უფასო დაწყებითი და საშუალო განათლება მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.



დღეს საქართველოში ინკლუზიურ განათლებაში მრავალი სკოლაა ჩართული. მათ შორისაა თბილისის ერთ-ერთი მოწინავე **152-ე საჯარო სკოლა**, სადაც კეთილმოწყობილი გარემოა შექმნილი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების (სსსმ) მქონე მოსწავლეებმა თავი კომფორტულად და დაცულად რომ იგრძნონ. შექმნილია ადაპტირებული გარემო და ყველანაირი მზაობაა იმისთვის, რომ მათი უფლებები არ შეიზღუდოს.

გვესაუბრება 152-ე სკოლის სპეცპედაგოგი, ფსიქოლოგი **ხათუნა მალანია**:

– ინკლუზიური განათლების განვითარების მიზნით, 152-ე საჯარო სკოლაში 2010 წელს შემუშავდა პროექტი **„ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი გარემოს შექმნა“**, რაც გულისხმობს იმ სტრატეგიების განვითარებას, რომელიც საშუალებას მისცემს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს მიაღწიონ სასწავლო პროცესში სრულ ჩართვას და სოციალურ ინტეგრაციას. იმ დროისათვის, სკოლაში 11 სსსმ მოსწავლე სწავლობდა, რომლებიც არ სარგებლობდნენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. შემდეგ, მოხდა მათი შეფასება განათლების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ და სათანადო დასკვნის საფუძველზე, აღნიშნული გეგმა შემუშავდა. ამის შედეგად მოსწავლეები ჩაერთვნენ სასწავლო პროცესში. მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით კი, გამოიყო პრიორიტეტები. ასევე, მუშავდება სტრატეგიები დასახული მიზნის მისაღწევად.



ალსანიშნავია, რომ სკოლის ერთ-ერთ მოსწავლეს, რომელსაც ცერებრალური დამბლა აწუხებდა, ფინანსური მდგომარეობის გამო, არ ჰქონდა გამართული ეტლი. ეს პრობლემა გულთან ახლოს მიიტანა სკოლის დირექტორმა ქალბატონმა **თამარ გურაშვილმა**. მისი ინიციატივითა და ინკლუზიური განათლების კოორდინატორის დახმარებით, ჩატარდა საქველმოქმედო ღონისძიება, შემოსული თანხით მოხერხდა სპეციალური ეტლის შეძენა და მოსწავლისათვის გადაცემა. ამ ფაქტმა, მოზარდზე დადებითად იმოქმედა, გაახარა, წაახალისა, აუმაღლდა მოტივაცია და სურვილი იმისა, რომ ჩაებარებინა საატესტატო გამოცდები. 2013-2014 სასწავლო წელს მოსწავლემ სკოლა წარმატებით დაამთავრა.



საერთოდ, ხშირია შემთხვევები, როცა სსსმ მოსწავლეები, თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენით გარკვეულ წარმატებებს აღწევენ. ამჟამად, ორი მოსწავლე ემზადება საატესტატო გამოცდებისათვის, რაშიც მას სპეცპედაგოგები და საგნის მასწავლებლები დიდი მონდომებით ეხმარებიან. სკოლაში სსსმ მოსწავლეები ბევრი სხვა სიკეთითაც სარგებლობენ, მაგალითად, მათთვის განკუთვნილი რესურს-ოთახით, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით და განმავითარებელი თვალსაჩინოებებით.

9 კლასიდან გასულმა სსსმ მოსწავლემ წარმატებით გააგრძელა სწავლა პროფესიულ სასწავლებელში.

აღნიშნული მოსწავლეები ხშირად ერთვებიან სხვადასხვა კულტურულ თუ გასვლით ღონისძიებებში. სკოლის დირექციისა და არასამთავრობო ორგანიზაცია **„თანადგომა თანასწორობისათვის“** დახმარებით, გასულ წელს მოეწყო ექსკურსია შიო-მღვიმეში, სადაც ბავშვებმა შეძლეს თანაკლასელი მეგობრების წაყვანაც, რითაც ძალიან კმაყოფილნი დარჩნენ.



წლის ბოლოსთვის კი კიდევ იგეგმება სსსმ მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა და მათი შესრულებით საინტერესო მუსიკალური ნომრის დადგმა.

საგულისხმოა, რომ 152-ე საჯარო სკოლაში, ამჟამად, 15 სსსმ მოსწავლე ირიცხება და აქ ყველანაირი პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებმა თავი თანატოლებთან კომფორტულად, ლაღად იგრძნონ. ისინი სარგებლობენ გარშემომყოფთა ტოლერანტული განწყობითა და სიყვარულით. ეს ბავშვები, ასევე, მათი მშობლები უსაზღვროდ დიდ სითბოსა და მადლიერებას გამოხატავენ თანატოლების, პედაგოგების, სკოლის დირექტორის **თამარ გურაშვილის** მიმართ. ეს კი პოზიტიურად მუხტავს თითოეულ ჩვენთაგანს. ამგვარი ჩართულობით ნათელი ხდება, რომ ერთად ყველაფერს შევძლებთ!



**მზია გოგოძე**

## თბილისის 176-ე საჯარო სკოლა ევროპულ სტანდარტებს უმიზნებს

# როცა დირექტორი გამოცდილი და შემოქმედია

**თბილისის** 176-ე საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი ის-ის იყო დამთავრდა, მაგრამ დამლაგებლები **მანანა მალასიძე**, **ნარგიზ ბიაშვილი**, **ნელი დევდარიძე** და **ლია მჭედლიშვილი** უკვე აკრიალებდნენ გრძელ-გრძელ დერეფნებს. შენობაში შესვლისთანავე პირველი სწორედ სისუფთავე გეცემათ თვალში. მანამდე კი სკოლის დასუფთავებული გარემო გამზადებთ საამისოდ, რაც მეეზოვის – **ლია უთურგაშვილის** დამსახურებაა.



დირექტორი – ქალბატონი **ეკა გაბიძაშვილი** იმათთაგანია, ვინც მანდატურობიდან მოვიდა სკოლის სათავეში. მან თსუ იურისპრუდენციის ფაკულტეტი დაამთავრა. სკოლაში მანდატურად მუშაობის დაწყებამდე – 2010 წელი – ფაქტობრივად, განათლების სისტემაში არ უმუშავია. დირექტორი 2012 წლიდანაა.



მოდით, საქმით წარმოვაჩინოთ ამ კონკრეტულ შემთხვევაში გაამართლა თუ – არა მანდატურის დირექტორად დანიშვნამ.

წარმატებით მუშაობს რვავე საგნობრივი კათედრა. **„კატის“** გამოცდაზე არც ერთი მოსწავლე არ ჩაჭრილა. შარშან 3 – ერთი – ოქროსა და ორი ვერცხლის მედალოსანი ჰყავდათ. შესატყვისად, **ანა კეჭუაშვილი**, **მერი ბეროზაშვილი** და **მარიამ კერატიშვილი**. სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სკოლამ სათანადო სერთიფიკატი და მადლობის წერილი მიიღო **ანა კუჭუაშვილის** საუკეთესოდ აღზრდისა და მომზადების გამო. მოსწავლეები ყოველწლიურად მონაწილეობენ **„კინგსის“**, **„სმარტის“**, **„კენგურუს“** და კიდევ სხვა მრავალ საგნობრივ ოლიმპიადასა და კონკურსში. მუდმივად ლაურეატები არიან, I და II ადგილებზე გადიან.




მოსწავლეები: **ნათია არაბული**, **მარიამ ქვარცხავა**, **ნინო ჯანჯღავა**, **მარიამ სარალიძე**, **დავით ხარატიანი**, **აკაკი ლომიძე**, **შოთა დვალიშვილი**, **სანდრო ჩოხელი**, **ლაშა კანდელაკი** და სხვანი აქტიურად მონაწილეობენ ზემოჩამოთვლილ ღონისძიებებში.

მოსწავლეთა აქტიურობას მათი თვითმმართველობის გააზრებულად, მიზანმიმართულად წარმართვაც უწყობს ხელს. მისი ლიდერები: **ია კიკნაველიძე** და **თამარ ციმაკურიძე**, აქტივთან და პედაგოგებთან ერთად, თავად ადგენენ პროექტებს, ჩამოაყალიბეს სამოქალაქო სადისკუსიო კლუბი დევიზით: **„ყველანი ერთად – უკეთესი მომავლისათვის!“** ბოლო დისკუსია ნაადრევ ქორწინებაზე გაიმართა.

ჩამოყალიბებულია **ფრენბურთის**, **კალათბურთის**, **ფეხბურთის**, **სპორტული ტანვარჯიშის**, **ბადმინტონის**, **რაგბის** სექციები. განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, მოწვეული სპეციალისტები რაგბის გაკვეთილებსაც ატარებენ.

უთუოდ გამოსაყოფია საგზაო ნიშნების შესწავლის, მოძრაობის უსაფრთხოების, ექსტრემალურ სიტუაციათა 10 გაკვეთილი, რის პრეზენტაციასაც განათლებისა და შინაგან საქმეთა მინისტრები ესწრებოდნენ. პატრულის, სახანძრო და სამაშველო სამსახურების სპეციალისტები, ქუჩაში მოძრაობის უსაფრთხოებასთან ერთად, ექსტრემალურ სიტუაციებში ალღოიანობასა და სწრაფად, გააზრებულად მოქმედებაში ავარჯიშებდნენ ყმაწვილებს. სკოლაში მეგობრულად სწავლობენ ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი, ქურთი ერების შვილები.



ასეთი შემოქმედებითი გარემოს შექმნა პედაგოგიური კოლექტივის, დირექციის დაუღალავი შრომის ნაყოფია. პედაგოგებთან აქტიურად მუშაობენ დირექტორის მოადგილეები: **მანანა კენკებაშვილი** (I) და **ვერიკო სულხანიშვილი**.



ხარისხიანი სწავლებისთვის იბრძვიან სერთიფიცირებული პედაგოგები: **მარინე ბეროშვილი**, **ნონატაველიშვილი**, **ელენე შინჯიკაშვილი**, **მარინე შუბლაძე** (დაწყებითი), **მზია იოსებაშვილი**, **იამზე ლუაშვილი** (ქართული ენა და ლიტერატურა), **ნინო ლუაშვილი** (ინგლისური), **მარიკა კვანჭილაშვილი**, **ქეთევან ნადირაშვილი**, **ლეილა სვანიძე**, **შორენა სისვაძე** (მათემატიკა), **თეონა ნემსიწვერიძე**, **მაია ტაბატაძე** (ისტორია), **ნინო ხოსიტაშვილი** (ბიოლოგია).

სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს გააზრებულად წარმართავენ ქართული, რუსული, ინგლისური ენების, ისტორიის, მათემატიკის, ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, დაწყებითი განათლების, გეოგრაფიის, სპორტის, ხელოვნების, ინფორმატიკის, სამოქალაქო განათლების პედაგოგები: **ლია ალავერდოვი**, **ირაკლი ბახუტაშვილი**, **მერი ბლუაშვილი**, **მაყვალა განგავა**, **დალი გეგენავა**, **ბიჭიკო დეკანოზიშვილი**, **ნუნუ ებილაშვილი**, **ხათუნა ერაძე**, **მაია ვარდიაშვილი**, **მზია იოსებაშვილი**, **დარეჯან კანდელაკი**, **ლია კაპანაძე**, **ნინო მათარაშვილი**, **ციცინო მუხიგულაშვილი**, **ნათია ნანობაშვილი**, **ლელა ოსიაშვილი**, **ნატო პავლიაშვილი**, **მაია პერტაია**, **გოჩა სახვაძე**, **გიორგი სებისკვერაძე**, **ირმა სულხანიშვილი**, **მარინე ტალახაძე**, **მაია ტუშური**, **მირანდუხტ ფოფხაძე**, **ია ყარყარაშვილი**, **სოფიო ჩიტორელიძე**, **ია ცქიტიშვილი**, **თეა ჭყოიძე**, **ნათია ხარებაშვილი**, **მირანდა ხურციძე**, **ჯილდა ჯგუშია**, ინკლუზიური სწავლების მენეჯერები **ნანა ბარბაქაძე** და **ნანა შავლუხაშვილი**.

სკოლა ერთობ რთული ორგანიზმია. მისი ყველა რგოლი, თუნდაც, ერთი შეხედვით, სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში უშუალოდ ჩაურთველიც, შეწყობილად უნდა მუშაობდეს საერთო წარმატების მისაღწევად. ამაში თავისი წვლილი შეაქვთ ბიბლიოთეკარ **დალი ბაღაშვილს**, ექიმ **მაია დათუნაშვილს**, ფსიქოლოგ **ხათუნა ქოქიაშვილს**, ბუღალტერ **ცისანა შავიძეს**, სამეურნეო ნაწილის გამგეს **ნოდარ ხარებაშვილს**, საქმისმწარმოებელ **ნანა როხვაძეს**, დარაჯებს: **ხათუნა ელიზბარაშვილს**, **მალხაზ მარგებაძესა** და **მურმან მაღალდაძეს**.

სკოლას მუდმივად მხარში უდგას განათლების სამინისტრო და ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო. ძალზე ოპერატიულად ეხმარებიან ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებაში.

დაბოლოს, გეკითხებით: ამ კონკრეტულ შემთხვევაში გაამართლა თუ – არა მანდატურის დირექტორად დანიშვნამ?!

პასუხი მკითხველმა გაგვცეს.

**კონსტანტინე გურგენიძე**



როგორ მიდის სწავლა თბილისის 22-ე საჯარო სკოლაში?

# სადაც ძლიერი პედაგოგები მოღვაწეობენ, წარმატებებიც იქ არის



**სათაურად** გამოტანილი ეს ჭეშმარიტება ოდნავ დაზუსტებას მოითხოვს: აუცილებელია ასევე ძლიერი ხელმძღვანელი. ამ კუთხით 22-ე სკოლას, როგორც იტყვიან, თავი ქუდში აქვს.

სახელოვანი წინამორბედების კეთილ საქმეებს ღირსეულად აგრძელებს გამოცდილი ერუდირებული დირექტორი **რუსუდან ზედაშიძე**. მას მხარში საიმედოდ უდგანან მოადგილე, ასევე გამობრძმედილი, შემოქმედი პედაგოგი **მარინე თითბერიძე**. აქ ბრწყინვალე მასწავლებლები ხომ მუდამ იყვნენ, ახლაც არიან და მომავალშიც იქნებიან.

სკოლა დირექტორისა და ამ პედაგოგების მოღვაწეობით, ევროპულ სტანდარტებს უმიზნებს და მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული. გასიგრძეგანებული აქვს ყველას განათლების ახალი მინისტრის **ალექსანდრე ჯეჯელავას** მიერ ინიცირებული ინიციატივები და მის ხორცშესასხმელად მზად არიან.

სჯობს ამის შესახებ მოკლედ დირექტორთან ინტერვიუდან შევიტყოთ.

***

– **„როდესაც ვასწავლით, ჩვენც ვსწავლობთ!“** – სენეკას ეს შეგონება ჩემი, როგორც პედაგოგისა და დირექტორის, ცხოვრების წესია.

ჩემი აზრით, ხელმძღვანელის, ლიდერის როლი ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია წარმატებული სკოლის ფორმირების საქმეში!

დირექტორი უნდა იყოს კარგი მენეჯერი, გააჩნდეს ინტუიცია, ჰქონდეს სათანადო ცოდნა და განათლება, ბიზნეს-ანალიზის უნარი, შრომის სიყვარული, ეჭვი არ უნდა შეეპაროს საკუთარ შესაძლებლობებში, არ უნდა იყოს მოწყვეტილი რეალურ სამყაროს, ფლობდეს მოსწავლეებზე ორიენტირებულ თანამშრომლობის ხელოვნებას, გააჩნდეს საქმის მიმართ სტაბილური და სწორი დამოკიდებულება, ქმნიდეს პოზიტიურ განწყობას, მუდამ უნდა ისწრაფოდეს სრულყოფისაკენ.

ეს არის ჩემი, როგორც დირექტორის, მუშაობის პრინციპი.

ჩვენი სკოლა ამ სამი წლის მანძილზე გახდა მოთხოვნადი, ვინაიდან სწავლა-სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, გაკვეთილები საინტერესოა და მოსწავლეებზე ორიენტირებული, შეიქმნა უსაფრთხო და წამახალისებელი გარემო, დიდი დრო ეთმობა მოსწავლეთა მოქალაქეობრივ აღზრდას, მათი სოციალური და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას.

სკოლაში მასწავლებელთა პროფესიული მომზადების დონის ასამაღლებლად სწავლების უწყვეტი სისტემა შეიქმნა. მშობლებთან თანამშრომლობისა და სკოლის ცხოვრებაში მათი ჩართულობის ხარისხი ამაღლდა, უსაფრთხო და წარმატებული გარემო ჩამოყალიბდა, შეფასების ეფექტური სისტემა დაინერგა.

მოეწყო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საკლასო ოთახები, კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, რომელსაც, დიდი მწერლის – **გურამ დოჩანაშვილის** – საპატივცემულოდ, **„კარცერი-ლუქსი“** დაერქვა, სადაც ტარდება ღია გაკვეთილები, ღონისძიებები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან. მოსწავლეები სიხარულით „აფარებენ“ თავს მოცალეობის ჟამს ამ მყუდრო გარემოს.

სკოლამ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა კონკურსში, წარადგინა საკმაოდ წარმატებული პროექტები, გაიმარჯვა და მიიღო სათანადო დაფინანსება. აქტიურად ჩაერთო საქალაქო და სასკოლო სპორტულ ღონისძიებებში.

სკოლაში მოეწყო ევროინტეგრაციის კაბინეტი, სადაც სისტემატურად ტარდება სასკოლო კონფერენციები. ამაღლდა მოტივაცია, როგორც მოსწავლეებში, ისე მასწავლებლებში.

გვაქვს სალონური შეხვედრები სპეციალურად ამისათვის განკუთვნილ სალონ-ოთახში, სადაც ერთმანეთს სასიამოვნო გარემოში ვუზიარებთ საინტერესო მოსაზრებებსა და სიახლეებს, ვაწყობთ შემოქმედებით საღამოებს.

კოლექტივი ერთიანი, ერუდირებული და მაღალკვალიფიციური კადრებისაგან შედგება. სკოლაში სუფევს სამუშაო ატმოსფერო, გვაქვს საგნობრივი კათედრები, რომლებიც პირნათლად უძღვებიან დაკისრებულ მოვალეობებს.

სერთიფიცირებული მასწავლებლები გამუდმებით ეხმარებიან კოლეგებს და ერთგვარ გეზს აძლევენ სრულყოფისაკენ.

სკოლა არც წარჩინებული და მედალოსანი მოსწავლეების ნაკლებობას განიცდის. არცერთ წელს არ გვყოლია 5-6 და ზოგჯერ მეტ მედალოსანზე ნაკლები, 100% გრანტითაც გაგვახარა არაერთმა.

იყო მასწავლებელი ნიშნავს, რომ დღენიადაგ სწავლობდე, ეძიებდე, ეცნობოდე ახალს, ნერგავდე სწავლის სიყვარულს, ზრდიდე განათლებულ და მცოდნე ახალ თაობას, იმედით შეჰყურებდე მომავალს და მიგაჩნდეს, რომ ამქვეყნად შენი არსებობით ერთი პატარა აგური მაინც ჩადე იმ დიდ საქმეში, საქვეყნო კეთილდღეობა რომ ჰქვია.

სიცოცხლე იგავ-არაკს მიაგავს, იგი იზომება არა სიგრძით, არამედ --შინაარსით.

მე ვთვლი, რომ ჩვენ, პედაგოგები, სწორედ იმიტომ ვცხოვრობთ, რომ უფრო ლამაზი და შინაარსიანი გავხადოთ აღსაზრდელთა ცხოვრება!

სკოლაში 950 მოსწავლეა, მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა, თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი საკლასო ოთახებით, ფიზკულტურის დარბაზით, ბიბლიოთეკით, საკონფერენციო დარბაზით და ლიტერატურული სალონით.

დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში არის **მარინე თითბერიძე**.

სკოლის პედაგოგთა 60% სერთიფიცირებულია. სკოლში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა და პედაგოგები გაერთიანებული არიან საგნობრივ კათედრებში. კათედრებს ხელმძღვანელობენ **ქეთევან გოგმიჩაძე**, **ხატია მაისურაძე**, **ნინო ლეონიძე**, **მარინე ზაქარიაშვილი**, **ნინო ცინცაძე**, **შორენა გოგოლაძე**.

წარმატებით მუშაობს მასწავლებელთა შეფასების ჯგუფი ფასილიტატორების ხელმძღვანელობით, ესენი არიან **მადონა ჩუბინიძე**, **ინგა გველესიანი**, **მაია ბერიძე**.

შარშან სკოლა დაამთავრა 7 ოქროს მედლის მფლობელმა.

გვყავდა 87 კურსდამთავრებული, აქედან 21-მა აბიტურიენტმა აიღო 100%-იანი გრანტი. 28-მ 70%-იანი. 16-მა კი 50%-ანი.

სკოლა ჩართულია ოლიმპიადებში, კონკურსებში. სხვადასხვა კონკურსებში მოიპოვა გრანტები. ტარდება ღია და ინტეგრირებული გაკვეთილები.

ასევე ეწყობა ლიტერატურული საღამოები ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგების **ნინო ლეონიძის**, **მედეა ნაცვალაძის**, **დალი ერაძის** და **ქეთევან ცუცქირიძის** ხელმძღვანელობით.

სკოლაში ისწავლება ოთხი უცხო ენა: ინგლისური, რუსული, გერმანული და ფრანგული. გაიმართა ფრანგული პოეზიის საღამო ჩინებული პედაგოგის **ნინო ხუციშვილის** ხელმძღვანელობით.

ეწყობა შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, მწერლებთან.

სკოლაში კვლავ გატაცებით მუშაობენ ღვაწლმოსილი პედაგოგები: **მზია აბულაძე**, **ლეილა ჩაჩანიძე**, **გულჩორა ჭულუხაძე**. **ნანა გოგოლაძე**, **ნათელა დოლონაძე**.

წარმატებით მუშაობს დაწყებითების კათედრა. პედაგოგები – **ნესტან კუპრავა**, **მაია ლაზარიაშვილი**, **მარიკა რეხვიაშვილი**, **ინგა ურუშაძე**„ **ქეთევან ძაძამია**, **მაყვალა ალელიშვილი**, **ნანა გეგია**, **თათია ჩიხლაძე** ძალღონეს არ იშურებენ პატარების აღსაზრდელად.

სკოლის მატიანეს ქმნიან პედაგოგები **გიული** და **ლია ჩაგელიშვილები**.

წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო! – ნათქვამია. სკოლის შემოდგომა კი სასწავლო წლის დასასრულია. გვჯერა, ასეთი წარმატებით მოღვაწე პედაგოგებისა და დარწმუნებული ვართ, მაღალ შედეგებს მიაღწევენ. გვწამს, 22-ე სკოლა **რუსუდან ზედაშიძის** მეთაურობით საამაყო შედეგებით დაასრულებს მიმდინარე სასწავლო წელს.

**ივერი მესხია**

---

მცირე რეპლიკა

## „რაიონი“ – თუ „მუნიციპალიტეტი?“

**მარნეულისკენ** მიმავალ გზაზე კუმისის ტბასთან აღმართს რომ მოიღლევთ, სოფელ კოდის დასაწყისში, ტრიალ მინდორზე ბანერს დიდი ასოებით აწერია **„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი“**. სულ ორიოდე წელია ასე იკითხება, მანამდე ყოველთვის **„რაიონი“** ეწერა. ისე გავგიჟდ-გადავირიეთ უცხოურ ტერმინებზე, საშველი არ არის. რა ენა და მამულზე ველაპარაკოთ იმ ქართველს, რომელიც მამაპაპურ წვრთნა-ვარჯიშზე „ტრენინგს“ და წარდგენაზე „პრეზენტაციას“ წარამარა გაიძახის, ოღონდ უცხოელებს ასიამოვნოს. ალბათ, იმის შიშითაც, ვაითუ, ნატოში არ მიგვიღონო. იმ კაცსაც, ვინც **„მუნიციპალიტეტი“** დააკანონა, ეგონა, სიახლეს მივაგენიო და სიხარულით თავბრუდახვეულმა პითაგორასავით წამოიძახა „ევრიკა!“ არადა, ცალი თვალით მაინც ლექსიკონში რომ ჩაეხედა, დაინახავდა: **„რაიონიც“** უცხოური ტერმინია.

რადგან იმ კაცს დაეზარა ცალი თვალითაც კი ლექსიკონში ჩახედვა, მკითხველო, მოდი, ჩვენ მაინც ჩავიხედოთ. ჩავიხედეთ და აი, რა წავიკითხეთ: **„რაიონი“** ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს გეოგრაფიულ სივრცეს, ტერიტორიას, რომელიც თეთრიწყაროს გამგებლობაში შედის. **„მუნიციპალიტეტი“** გერმანული სიტყვაა და ნიშნავს თვითმმართველობას. სად ერეკლე და სად თეკლეო. ეს ტერმინი უნდა ეწეროს მხოლოდ იმ შენობას, რომელშიც რაიონის გამგეობა-თვითმმართველობა არის განთავსებული და არა ტრიალ მინდორზე აღმართულ ბოძს.

ყველა საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია მოსწავლეთა თვითმმართველობა. მოდით, მას დავუძახოთ **„მოსწავლეთა მუნიციპალიტეტი“**, სტუდენტთა თვითმმართველობას – **„სტუდენტთა მუნიციპალიტეტი“**, როგორი იქნება, ჰა!

**მოსე მწერალი**

---

„იცანი თავი შენი!“

## ხზოს ალტაცება

**ხშირად** გაიგონებთ: თავმოყვარეობა არა აქვსო. თავმოყვარეობის დეფიციტი კი მლიქვნელობაში გადაიზრდება. მლიქვნელობა კი ღირსების შემლახველია.

ბოჩოლა რძით რომ გაიჭყიპება, მინდორში კუნტრუშს დაიწყებს, უაზროდ გაგიჟდება, ხან აქეთ მიაწყდება და ხან იქით მიეხეთქება, ტლინკაობს.

ამას ეძახიან **„ხბოს აღტაცებას!“**

არ ვიცი ეს თვისება ჩვენს ხასიათში ზის თუ არა, მაგრამ ცხადია, ამის მსგავსი, სამწუხაროდ, ხშირად გვემართება: მუდამ სხვას ვაკრიტიკებთ და საკუთარ ქცევას არ ვუკვირდებით.

**„ხბოს აღტაცების“** ორი მაგალითი გავიხსენოთ, ძვირფასო მკითხველო – ერთი – იმ საუკუნიდან, მეორე – ამ საუკუნიდან.

მაშინ რუსი მწერალი ასტაფიევი გვესტუმრა. გადაყვნენ მას ჩვენი მწერლები, აქეს, ადიდეს, „დევების აუღებელი სუფრა“ გაუშალეს, ჩიტის რძე არ მოაკლეს, სამოთხის ნირვანაში აბანავეს და იქ თევზი-ციმორი დააჭერინეს. ჰოდა, რომ დაბრუნდა ასტაფიევი მოსკოვში, პასკვილი **„ციმორის ჭერა“** გამოაცხო: ქართველები უსაქმურები ხართო, ღვინის ყლაპვის მეტი არაფერი იცითო, ორსული ქალივით უშველებელი ღიპი გადგათო.

ამ საუკუნეში კი თურქმა მწერალმა **ფამუქიმ** ნობელის პრემია მიიღო. სტუმართმოყვარეობის მოტივით (უფრო, ღრმად თუ ჩავწვდებით განაზრახს, სხვა მოტივითაც) გადაირივნენ ახალგაზრდა ქართველი მწერლები, ჩამოიყვანეს, **„პრეზენტაცია“** მოუწყვეს, **„სუფრადანციაც“** ზედ მიაყოლეს.

ერთმა მწერალმა ჰკითხა უძვირფასეს სტუმარს, რუსთაველის **„ვეფხისტყაოსანზე“** რას გვეტყვითო? – არც კი მაქვს წაკითხულიო (!?)

ახლახან ევროვიზალიბერალიზაციაზეც ხომ არ მოგეძალათ ბევრს **„ხბოს აღტაცება?“**

**თავმოყვარეობა – ღირსებისა და არა მონური ქედმოხრის გრძნობა კარგი საქონელია, ღმერთმანი!**

**მოსე მწერალი**

**ჩვენი ზღაპრული სამყაროს ნომერია 17**

# ბაგა-ბაღები – უპირველეს ყოვლისა



**ქვეყნის** დღევანდელ, უკიდურესად გართულებული დემოგრაფიული მდგომარეობის პირობებში, ბაგა-ბაღებზე ზრუნვას გაათმაგებული ყურადღება უნდა



მიექცეს. საბედნიეროდ, თბილისის მერია და მის დაქვემდებარებაში მყოფი ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო ძალისხმევას არ აკლებენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს და, სრულიად სამართლიანად, მათი სრულყოფა და განვითარება პრიორიტეტულ მიმართულებად აქვთ გამოცხადებული. ასეთი გულისხმიერი დამოკიდებულება ბაგა-ბაღებისადმი ნამდვილად მისასალმებელია, რადგანაც სწორედ საბავშვო ბაღებში ეყრება საფუძველი მომავალი ნაღდი მამულიშვილების ჩამოყალიბებას. პირადად თბილისის მერის ბატონ **დავით ნარმანიასა** და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის ბატონ **თემურ თორდინავას** თავდაუზოგავი და მუხლჩაუხრელი მუშაობის შედეგად, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში – ალმშენებლობისა და განვითარების ხანაა დაწყებული. უმაღლეს დონეზე მოწყობილი ბაგა-ბაღები უთუოდ შეასრულებენ ერთ-ერთ მძლავრ მასტიმულირებელ როლს საქართველოში მრავალშვილიანობის ტრადიციის დამკვიდრებისა და გაღრმავების საქმეში.

ბატონ **თემურ თორდინავასთან** საუბრისას მას ვკითხეთ, რამდენად ამართლებენ ბაგა-ბაღები ასეთ ყურადღებას. მან სამაგალითოდ დაგვისახელა მე-17 ბაგა-ბაღი.

ისნის რაიონის მეტრომშენის დასახლებაში მდებარე მე-17 ბაგა-ბაღში მეგზურობა გაგვიწია მისმა დირექტორმა **ლელა ბაქრაძემ**, რომელმაც თავიდანვე მოგვხიბლა კეთილგანწყობით, ბავშვებისადმი სიყვარულით, მაღალი კვალიფიკაციითა და საქმის ცოდნით. მისი ბეგრაუნდის გაცნობის შედეგად აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში პარალელურად სწავლების საფუძველზე მას წითელ დიპლომებზე აქვს დამთავრებული: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი – ტელე-რეჟისურის სპეციალობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტი – ინგლისური ენის სპეციალობით, თბილისის ბიზნესის აკადემია – საბანკო და საფინანსო საქმის მენეჯერის სპეციალობით და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურა – საზოგადოებასთან ურთიერთობების მაგისტრის წოდებით. **ლელა ბაქრაძე** ნამუშევარია – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში – საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მთავარ სპეციალისტად. აგრეთვე მუშაობდა თბილისის ბიზნესის აკადემიის – პრორექტორის თანამდებობაზე, კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. აღნიშნული ბაღის მნიშვნელოვანი წარმატებები სწორედ ასეთი ხელმძღვანელის დამსახურებაა.

ახალ სასწავლო წელს მე-17 ბაგა-ბაღი სრულ მზადყოფნაში შეხვდა. **ლელა ბაქრაძის** სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 2014 წლის ოქტომბერში მისი დირექტორად დანიშვნის შემდეგ ბაგა-ბაღში დაინერგა მნიშვნელოვანი სიახლეები. კერძოდ, ყველა ოთახში განახლდა და დაიგო ახალი იატაკი, ჩატარდა შიდასარემონტო სამუშაოები, განახლდა დარბაზი და ყველა ჯგუფი. ჯგუფებისათვის შეძენილ იქნა სპეციალური, მოხერხებული ავეჯი, მაგიდები და სკამები, საძილე ჯგუფებისათვის დამზადდა ახალი საწოლები. ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს უშუალო ჩართულობითა და მხარში დგომით სამზარეულოსთან აშენდა ახალი საწყობი და სამრეცხაო თავისი სველი წერტილებით და სააბაზანოთი. სასწავლო-აღმზრდელობითი პროგრამის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, ყველა ასაკობრივი ჯგუფებისათვის შეძენილ იქნა სენსორული, კოგნიტური, მოტორული და კრეატიული უნარების განვითარებისათვის საჭირო სათამაშოები. 20-ზე მეტი დასახელების ახლად გამოშვებული საბავშვო მოთხრობები, ლექსები და ზღაპრები. **„სასკოლო მზაობის“** ჯგუფებისათვის დამონტაჟდა ახალი სივრცეები, შევიძინეთ საჭირო სახელმძღვანელოები და ლიტერატურა.



კეთილშობილი, ღირსეული და შემოქმედი დირექტორის, ქალბატონ **ლელა ბაქრაძის** და მისი ერთ მუშტად შეკრული კოლექტივის მუხლჩაუხრელი მუშაობის შედეგად ბაღში დამყარებულია ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული საქმიანი, ჯანსაღი და თბილი ოჯახური ატმოსფერო. კოლექტივს შემოემატა დირექტორის ახალი მოადგილე – **ნინო ტომარაძე**, რომელიც ერთგულად ამოუდგა დირექტორს მხარში. ბაგა-ბაღში უმაღლეს დონეზეა დაცული ჰიგიენისა და სისუფთავის ნორმები. ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ერთგულად და მაღალკვალიფიციურად ემსახურება ექთანი – **მაია გაბიცინაშვილი**. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეთოდურ მუშაობას, რომელსაც წარმატებით უძღვება გამოცდილი მეთოდისტი – **მანანა დადიანიძე**. საერთო წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვთ და ენთუზიაზმით იღვწიან: მნე – **თამარ ტერუნაშვილი**, საქმისმწარმოებელი – **მარინე გოგიშვილი**, ფსიქოლოგი – **მაია წყარუაშვილი**. გულისხმიერებითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან მრავალი თაობის ღვაწლმოსილი აღმზრდელები: **ქეთევან ბენაშვილი** და **მაკა რუხაძე**. მათ ტოლს არ უდებენ და გატაცებით მოღვაწეობენ ახალგაზრდა აღმზრდელები: **შორენა ბაჯიაშვილი**, **ნინო გვრიტიშვილი**, **ნინო ჭუმბურიძე**, **ლია ბასოშვილი**, **მაია სამსონია**, **თამილა ქენქაძე**, **ნათია გელაშვილი**, **ნატო მოლაშვილი**, **ირინა დოლიძე**, **თიკო ბერბიჭაშვილი**. აღმზრდელები მაქსიმალურად იხარჯებიან, რათა პატარებს შეუქმნან საუკეთესო, კომფორტული და თბილი ოჯახური გარემო.

ამ ჰარმონიულსა და იდილიურ გარემოში ბავშვებზე, როგორც საკუთარ შვილებზე ზრუნავენ აღმზრდელის თანაშემწეები – ძიძები: **ქეთევან კალანდაძე**, **თინიკო კირკიტაძე**, **ციური ბალდოშვილი**, **მარეხ ხუბაშვილი**, **ია ჩიხლაძე**, **ეკა ჩიფჩიური**, **ლალი გაფრინდაშვილი**, **ესმა აშორტია** და **თამთა დევდარიანი**. აღსანიშნავია, რომ თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ახალი პროექტის განხორციელების შედეგად ბაგა-ბაღებში საგრძნობლად გაუმჯობესდა აღსაზრდელთა კვება. ამ განხრით ბაღში წარმატებით მუშაობენ მზარეულები: **მარინე ბერიძიშვილი**, **დონარა ანუშიძე** და **მაია მამნიაშვილი**.

მე-17 ბაგა-ბაღში ტრადიციად ჩამოყალიბდა შთამბეჭდავი სადღესასწაულო ღონისძიებებისა და ზეიმების ჩატარება. ზეიმები გამოირჩევა აღსაზრდელების შესანიშნავი სიმღერებით, ცეკვებითა და ლექსებით, რომლებიც დიდ მოწონებასა და აღფრთოვანებას იწვევს მშობლებსა და მნახველებში. ცეროდენებს ძალიან უყვართ მუსიკის პედაგოგი – თიკო შამანიძე.





თავის საქმეს პირნათლად და დიდი პასუხისმგებლობით ასრულებენ ბაღის ტექნიკური პერსონალი: **ლელა ძიძიკაშვილი**, **ნინო რუხაძე**, **ეკა მდივანი**, **ნინო მაჭარაშვილი**, **მარიკა ხახაბუელი** და ბატონი **პეტრე ახალკაციშვილი**.

აღსანიშნავია, რომ გასულ ზაფხულს მე-17 ბაგა-ბაღი აღმოჩნდა იმ გამორჩეულთა შორის, რომლებსაც თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს გადაწყვეტილებით დაევალათ საზაფხულო ბაღის გახსნა-გაძღოლა. ბაღის ერთ მუშტად შეკრული პროფესიონალების

**გაგრძელება მე-6 გვ.**

როგორ ცხოვრობთ, 152-ე ბაგა-ბაღელებო?

# აქ ცეროდენებზე დედასავით ზრუნავენ




**შეხვალთ** და მოიხიბლებით, გაგაოცებთ ეგზოტიკური ეზო და შენობა. აქ რომ თაღებია, სვეტთა შეკონება, ისე ნაგებია, სიზმრის გეგონება!“ გულთბილად მიმიღო დიდმა დიასახლისმა. გამიხარდა, რომ იგი ერუდირებული და შემოქმედი დირექტორი **მარიამ (მაკა) ჭანტურია** ჩვენი კოლეგა აღმოჩნდა. აქ მოსვლამდე ჟურნალისტად უმუშანია. მაკა სახელოვანი 51-ე სკოლისა და დედაუნივერსიტეტის აღზრდილია. მეორე წელია ამ ბაგა-ბაღს განაგებს და უკვე დაატყო კიდევაც კეთილი ხელწერა. ცეროდენების ეს ზღაპრული სამყარო შარშან 70-სა გახდა. დიდხანს შეერთებული იყო სახელოვან 170-ე ბაგა-ბაღ-



თან და შარშანწინ გამოეყო მას, როგორც იტყვიან, „დამოუკიდებლობა“ მოიპოვა.

ყოველ სიახლეს თან სირთულეები ახლავს. მაკა საკუთარ დამსახურებაზე სიტყვაძუნწია, ერთგულია მცნებისა „საქმემან შენმან გამოგაჩინოს!“

– ძლიერი, პროფესიონალი თანამშრომლების თანადგომით სირთულეები გადავლახეთ და უკვე ყოველმხრივ მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა გვაქვს, - ამაყად აცხადებს დირექტორი, – ცეროდენების მშობელთა და ჩვენი თანამშრომლების სახელით დიდ მადლობას მოვახსენებ დედაქალაქის მერიას, განსაკუთრებით ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს უფროსს ბატონ **თემურ თორდინავას**. ვიმეორებ, აქ მეტად გამოცდილი აღმზრდელ-პედაგოგები, თავისი საქმის ოსტატები მოღვაწეობენ. მიღწეულით როდი ვკმაყოფილდებით. ეზოს ესთეტიკური ხიბლის გაძლიერებისთვის ვიბრძვით, მალე შევავსებთ მას გასართობი ინვენტარით, ატრაქციონებით.

ამას რომ ამბობდა, მაკას სახეზე იკითხებოდა: **„ხომ ლამაზია ეს ჩემი ბაღი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა!“**

დიდებულია პატარების საყოფაცხოვრებო პირობები. იმიტომ მოუხარიათ აქ, რომ მშობლიურ, ხალისიან გარემოში გრძნობენ თავს. ასევე გახარებული არიან მათი მშობლები. ცეროდენებზე დედასავით მზრუნველი ბევრი თანამშრომელი გავიცანით. აი, თუნდაც სიმპათიური ქალბატონი, ჩინებული პედაგოგი, დირექტორის მოადგილე **ქეთი დუმბაძე**, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს ბაგა-ბაღის კეთილდღეობაში.

საუბარში შემოგვიერთდა ღვაწლმოსილი და დიდად პატივსაცემი პიროვნება, რომელსაც მართლაც ძალიან აფასებენ, როგორც ლეგენდარულ პედაგოგს. **ეველინა სალუქვაძე** 52 წელია აქ ნორჩების აღზრდას ემსახურება. ეს ხომ გმირობის ტოლფასია? იგი სკოლამდელთა აღზრდის იმ კორიფეთა შორის დგას, როგორებიც არიან: **ნელი კეპულაძე**, **მაყვალა ჩუბინიძე**, **ლალი ნოზაძე**, **ლუდმილა მალანია**, **ზაირა კურტანიძე** და სხვები. ამჟამად ეველინა მეთოდისტი გახლავთ და მთელ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას დიდებულად უძღვება. მაღალ დონეზე ატარებენ აღმზრდელები მეცადინეობა-გართობებს. **შემოდგომის** თუ **„ნაძვის ხის“**, სპორტულ თუ სხვა სახის ღონისძიებებს. ერთი სიტყვით, **„სასკოლო მზაობის პროგრამა“** წარმატებით ხორციელდება. ეს კი ყველაზე მთავარია.

სამწუხაროდ, დღეს იშვიათი ხილი გახდა ღვაწლმოსილთა დაფასება. უფრო ადრე მათ „ჩარეცხილებს“ ეძახდნენ. აქ კი „სიძველისადმი ნდობა-პატივი“ მაღალ რანგშია აყვანილი. მაგალითად, ამას წინათ გულთბილად გააცილეს ამაგდარი აღმზრდელები: **მზექალა ჯაფარიძე** და **სილვა რაზმაძე**. თაობათა ცვლის პროცესი ბუნებრივად მიმდინარეობს: მიიღეს ახალი ახალგაზრდა თანამშრომლები: **ხათუნა რამიშვილი** და **ქეთი ამირანაშვილი**.

დირექტორთან შეხვედრამდე დავათვალიერეთ დერეფნები, სტენდები, მშობელთა კუთხე, თვალსაჩინოებანი. ყველგან სისუფთავეა, ყველგან თოჯინები იცინიან. მშობლებსაც გავესაუბრეთ – ბავშვთა კვებით კმაყოფილნი ხართ თუ არა-მეთქი? პოეტი აღმოჩნდა, ლექსად მიპასუხა: „კერძებია იმისთანა, რომ ჩაატან თითებს თანაო“. ასეთ



კერძებს ამზადებენ მზარეულები: **თამარ როსტომაშვილი** და **ლელა წიკლაური**.

ბაგა-ბაღის ცხოვრებას ალამაზებენ, ცეროდენებს სულიერად აფაქიზებენ და მათ მუსიკალური ხელოვნების სიყვარულით ზრდიან ჩინებული პედაგოგები: **ნანა გაგუა** და **ლია ჩაჩავა**, ცეკვის მასწავლებელი **მზია კანდელაკი**.



ნაყოფიერად მუშაობენ პატარებთან: ლოგოპედი **კლარა სულაბერიძე** და ფსიქოლოგი **გიორგი კახიძე**. ბავშვების ჯანმრთელობაზე ბევრს ზრუნავს ექიმი **მზიანა ესართია**.

საქმის, წარმატების თავიდათავი მაინც აღმზრდელებისა და მათი თანაშემწეების თავდადებული შრომაა: დირექტორს ვთხოვეთ, ყველაზე მოწინავენი დაესახელებინა. ვერავის გამოვარჩევო. ქვეტექსტი გასაგები იყო. ასე რომ, ხელმძღვანელმა მაღალი შეფასება მისცა აღმზრდელების: **მზეთვალა ჯაფარიძის**, **ნანი გულიაშვილის**, **სოფიო ქოიავას**, **თინა ღლონტის**, **ლილი ბაღაშვილის**, **დარეჯან ბოკერიას**, **ნანა ბერიაშვილის**, **ნუნუ ჭუმბაძის**, **ეკა არსენიშვილის**, **დონარი ხელაშვილის**, **ნანა გელაშვილის**, **ქეთი პაპელიშვილის**, **ნონა ქუთათელაძის**, **ინგა კუპრაძის**, თანაშემწეების: **თამარ შეყლაშვილის**, **მანანა ბურდულის**, **ხათუნა ჩხაიძის**, **თამარ ზარიაშვილის**, **გოგუცა ვარდოსანიძის**, **დალი ხელაშვილის**, **ანა ცარიელაშვილის**, **დარეჯან სიხარულიძის** და **ვერა აბრამიძის** ღვაწლს. დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ: მნე **ნათელა მონავარდისაშვილი** და საქმის მწარმოებელი **თიანა კაკულია**.

ბაგა-ბაღის კეთილდღეობაში ლომის წვლილი შეაქვთ ტექნიკურ მუშაკებს. დიდ მადლობას იმსახურებენ დამლაგებლები: **მარიამ ნეფარიძე**, **ია გიორგაძე**, **ცისანა სამსონაძე**, **ვიოლეტა ნიკოლეიშვილი**, მრეცხავები: **ნინო გურჩიანი**, **ნატა ადამიანი**, **მაია ჯადუკიშვილი**, დარაჯი – **ნიკოლოზ ლომიძე**, მეეზოვე – **ნანა ლომიძე**, მზარეულის დამხმარე – **მადლენა ხაჭაპურიძე** და დარაჯი – **ამირან ლაბაძე**.

თქვენს მიღწევებზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლება მეგობრებო. მოდით, ეს შემდეგისთვის იყოს!

**ახალი წელია! გილოცავთ მას და ახალ-ახალ წარმატებებს, ზღვა სიხარულს გისურვებთ, 152-ე ბაგა-ბაღელებო!**

**ბორის ხარებავა**

მე-5 გვერდიდან

გუნდი სიამოვნებით მასპინძლობდა პატარებს და უხალისებდა მათ ზაფხულის ცხელ დღეებს. ჩატარდა მხიარული სტარტები, კონკურსები და ბევრი სხვა გასართობი და შემეცნებითი ღონისძიება. კონკურსში გამარჯვებულები კი ბაღის დირექტორმა დააჯილდოვა სიგელებითა და საჩუქრებით.



**„სასკოლო მზაობის“** ჯგუფების აღსაზრდელებმა წარმატებით შეძლეს სკოლებში სწავლის გაგრძელება, წარმატებული მუშაობისათვის მე-17 ბაგა-ბაღმა მადლობის სიგელი მიიღო.

დღეისათვის მიმდინარეობს ეზოს რეკონსტრუქციის სერიოზული სამუშაოები, ბაღის ეზოს კიდევ უფრო სრულყოფისა და გალამაზებისათვის, მონტაჟდება საზაფხულო სცენა. ეწყობა საბავშვო მოედანი ხელოვნური საფარით და სასეირნო ბილიკები, კეთდება და იხვეწება დეკორატიული საფარი. დაგეგმილია ბაღის ეზოსთვის ახალი ღობის შემოვლება, აგრეთვე დამატებითი ლამპიონების დაყენება გარე განათებისთვის. დაგეგმილია მრავალი საინტერესო სიახლის შემოღება,



ღონისძიების გატარება.

ჩვენ კი, გაზეთ **„სახალხო განათლება+“**-ის რედაქცია შემდგომ დიდ წარმატებებსა და წინსვლას ვუსურვებთ თბილისის მე-17 ბაგა-ბაღის კოლექტივს. მასთან ერთად კეთილშობილ, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებულ, ლამაზს, კვალიფიციურსა და უდიდესი შემართების მქონე ხელმძღვანელს – **ლელა ბაქრაძეს**.

**რომან მოსეშვილი**



**სწავლების** ხარისხის ამაღლება დღევანდელობის მთავარი მოთხოვნაა.

თბილისის 171-ე საჯარო სკოლის დირექტორი **ქეთევან ქსოვრელი** იხსენებს, როგორ მოვიდა ამ სკოლაში 2014 წელს.

თბილისის 171-ე საჯარო სკოლა — სიახლეების მხარდამხარ

# ბევრი ბრწყინვალე პედაგოგით ვამაყობთ



მალე მოიხვეჭა ავტორიტეტი. პედაგოგებმა ნდობა გამოუცხადეს, მხარში ამოუდგნენ, მანამდეც ჰქონდა პედაგოგიური და სკოლის ხელმძღვანელობის გამოცდილება. ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტისა და ეროვნული უნივერსიტეტის დაწყებითი კლასების პედაგოგთა ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა 192-ე სკოლის ქიმიის მასწავლებლად; 1995 წელს უკვე 62-ე სკოლის დირექტორის მოადგილეა სასწავლო-აღმზრდელობით დარგში; 2005 წლიდან 177-ე სკოლის დირექტორად დააწინაურეს. მაინც სჭირდებოდა მეგობრული მხარდაჭერა, რაც არ დაიზარეს ახალ სკოლაში ახალმა კოლეგებმა. ამან კი გაუადვილა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სწორ კალაპოტში წარმართვა.

დირექტორი სერთიფიცირებულია. ასევე სერთიფიცირებულია მისი მოადგილე ქიმიის ჩინებული მასწავლებელი **მზია კვინტრაძე**. სკოლას კიდევ ჰყავს 31 სერთიფიცირებული პედაგოგი: **თინათინ პატარაია**, **ხათუთა წიკლაური**, **ქეთევან ჯოჯუა**, **ცარინი მაკარიძე**, **ლალი კიკვიძე**, **ნათელა ნაკუდაიძე** (ქართული ენა და ლიტერატურა), **მედეა თოფურია** (რუსული), **ეთერ ბარელაძე**, **ელზა გოჩიტაშვილი**, **ნანი ქარციძე**, **ლევან ჩიქვინიძე**, **მაია ჩიქვინიძე**, **ნარგიზ თავართქილაძე** (მათემატიკა), **მედეა მიქაძე** (ფიზიკა), **ცისანა იაშვილი**, **ნანა შენგელაია** (მას 1000 ლარი ანაზღაურება აქვს), **ელზა მახაშვილი** (ინგლისური), **მზია ჯინჭარაძე**, **ნანა კუჭუხიძე**, **ქეთევან ვაჩეიშვილი**, **დიანა ბიბილაშვილი** (ისტორია), **ხათუნა ჯიმშიაშვილი** (გეოგრაფია), **ინგა მარგალიტაძე** (ბიოლოგია), **ლამარა შულაია** (ქიმია), **თინათინ როსტიაშვილი** (მუსიკა), **ნინო ჩაკვეტაძე** (ხატვა), **რუსუდან გოგესაშვილი**, **ნანა გრძელიძე**, **მანანა კუჭავა**, **თამარ ქრისტესიაშვილი**, **მაია კვარაცხელია** (დაწყებითი).

სერთიფიცირებულ კოლეგებს ტოლს არ უდებენ და ღირსეულად უბამენ მხარს რუსული ენისა და ლიტერატურის, ინგლისური ენის, ფიზიკის, ხაზვის, ხელოვნების, მუსიკის, სპორტის, საგზაო ნიშნებისა და გზებზე უსაფრთხოების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ქიმიის, დაწყებითი კლასების პედაგოგები: **ელისო ბეგიაშვილი**, **ეკატერინე ლობჟანიძე**, **ნატალია მჭედლიძე**, **მაია პაპინაშვილი**, **ანა კარანაძე**, **გოჩა ყანჩაშვილი**, **ნინო კირვალიძე**, **პაატა შოთაშვილი**, **ლელა ტოგონიძე**, **ლევან კორინთელი**, **ლალი ჭუმბურიძე**, **ნაირა მახაჭაშვილი**, **ნატო ჩადუნელი**, **თამარ მოდებაძე**, **ნანა ჩხიკვიშვილი** და **ქეთევან გორგაძე**.



დაუკვირდით: 171-ე სკოლაში სერთიფიცირებულთა რაოდენობა ორჯერ მეტია – არასერთიფიცირებულებზე. ვერ გეტყვით, ბევრ სკოლაში თუა ასე, მაგრამ ამ შემთხვევაში აშკარაა – ძლიერი პედაგოგიური კოლექტივია.

შარშან სკოლას ერთი – ოქროსა და ერთიც ვერცხლის მედალოსანი ჰყავდა – **თეონა მგელაძე** და **ლაზარე ბალიაშვილი**, ხოლო XI კლასელმა **დაჩი კურცხალიამ** საატესტაციო გამოცდაზე 4 საგანში უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

სკოლაში მოქმედებს **სახალისო ლოგიკის** (ხელმძღვანელი – **მაია ჩიქვინიძე**), **რიტორიკის** (**ნანა კუჭუხიძე**) წრეები.

**სახალისო ლოგიკა** ახალგაზრდებს ლოგიკურად აზროვნების საფუძვლებს აუფლებს, ხოლო რიტორიკა აზრის სხარტად, გამართულად, მისაწვდომად ჩამოყალიბებაში ეხმარებათ.



აქ მოსწავლეთა მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდისათვის ეფექტიანად ზრუნავენ, მოქმედებს მხატვრული კითხვის (**ლალი კიკვიძე**), ჭადრაკის (**დარეჯან ჩაკვეტაძე**), ფორტეპიანოს (**ნინო კირვალიძე**), ქართული ხალხური ცეკვების (**ზაზა ბიბილაშვილი**), ფანდურზე დაკვრის (**იამზე სიხარულიძე**), სამეჯლისო ცეკვების (**ანა პეტროსიანი**) წრეები.



დღის გახანგრძლივებულ ჯგუფში მოსწავლეები სკოლაშივე ამზადებენ გაკვეთილებს. უმაღლეს სასწავლებლებში ჩასაბარებლად მაქსიმალურად მომზადების მიზნით, მოწვეული პედაგოგი **ზურაბ ვახანია** მოსწავლეებს ზოგად უნარებში ამეცადინებს. მასობრივად არიან მოსწავლეები ჩართულნი სასწავლო-შემოქმედებით ოლიმპიადებში, კონკურსებში და იმარჯვებენ კიდეც. იმდენი ჯილდო აქვთ მოხვეჭილი, ყველას ვერ ჩამოვთვლით.

ასეთი პედაგოგების ხელში 171-ე საჯარო სკოლა უთუოდ შეძლებს უფრო მეტი წარმატებების მიღწევას.

**კოტე სარალიძე**

უმწვავესი პრობლემა არა მხოლოდ მოსწავლეთათვის

# წერა-კითხვა ხომ არ გავიწყდებათ?!

**ინდაურივით** თავშეყოფილი შვილიშვილები ვერ მოვაშორე კომპიუტერს. პატარები კი არა, ჭარმაგებიც გადარია ცივილიზაციის ამ მიღწევამ, ჩვენს ჯანმრთელობას დაემუქრა, თავის შეუწუხებლად ფონს გასვლის სენი შეგვყარა, ნარკოტიკივით შეგვიჩვია, ლამის წიგნი და კალამი ხელიდან გაგვაგდებინოს. პედაგოგები, ფსიქოლოგები და ექიმები, რახანია ამტკიცებენ: რამე თუ არ ვიღონეთ, შეიძლება რობოტებად გვაქციოს ჩვენგანვე შექმნილმა რობოტმა.

დღეს იდიოტი უნდა იყო კაცი, კომპიუტერის მნიშვნელობა-სარგებლიანობა არ გესმოდეს. მოდით, განათლების, სწავლების კუთხით ვიმსჯელოთ და გავიაზროთ ამ უდიდესი მონაპოვრის შუქ-ჩრდილები. დავსვათ კითხვა ასე: ამაღლდა თუ არა სწავლების, შეთვისებული ცოდნის დონე და ხარისხი მას შემდეგ, რაც სასკოლო სწავლების სისტემაში ასე უმძლავრესად შემოიჭრა კომპიუტერი? პედაგოგებისა და ფსიქოლოგების პროგნოზ-დიაგნოზი არც ისე მომხიბლავია. განწყობის თეორიის მიხედვით, სწავლების პროცესში კომპიუტერის გამოყენებისას იკარგება წიგნის კითხვის, წერის, „თავის შეწუხების“, ლოგიკური მსჯელობის, აზროვნების ინტერესი, ანუ მიგნების, აღმოჩენის, მოტივაცია, რადგანაც ყველა დავალებაზე, კითხვაზე იოლად შეგიძლია მოძებნო მზამზარეული პასუხები. ამდენად, ბავშვი, მოზარდი, ხშირად სტუდენტიც სახელმძღვანელოს ხელს არ კიდებს, ხოლო კომპიუტერს სწავლაზე უფრო გასართობად იყენებს.

რამდენ პოეტს ვიცნობ, „ჯღაბნა მეზარებაო“ და თავისი მუზის ნაყოფს პირდაპირ კომპიუტერით აწყობს. გაგიგონიათ: **„ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო“**. ე. ი. იოლად შესწავლილი იოლად გავიწყდება. ფსიქოლოგების ოქროს შეგონებაა: **„რაც მეტი გრძნობათა ორგანო მონაწილეობს ალქმაში, მით მეტია შთაბეჭდილებათა კვალი (დამახსოვრება) ჩვენს ცნობიერებაში“**.

ახლა მოსე მწერლის შეგონებაც მოისმინეთ: თუ შენ წიგნს იშვიათად წაიკითხავ, ან რამეს იშვიათად დაწერ, შეუმჩნევლად წერა-კითხვას გადაეჩვევი.

ყველაზე „მავნე“ კომპიუტერი სწავლების დაწყებით საფეხურზეა. I, II, III კლასის მოსწავლის მოუმწიფებელი გონება და ნერვული სისტემა ზღვა ინფორმაციას ვერ გადაამუშავებს, მას თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს და ამისი შედეგია ხშირად, რომ იმ საგნის იძულებით შესწავლაზე გულს იცრუებს. კიდევ უარესი: იმატა სათვალიანი ცეროდენების რიცხვმა. მაშ, რა ვქნათო? რა და მოსე მწერალი ერთ რჩევას გთავაზობთ: მეოთხე კლასამდე კომპიუტერს ნუ ჩავაყენებთ სწავლების სამსახურში. ბოლოსდაბოლოს, იგი ხომ უმაღლესი ხარისხის სწავლების დამხმარე ტექნიკური საშუალებაა, მეტი არაფერი. კომპიუტერი ვერასოდეს შეცვლის წიგნს, წერა-კითხვას, მასწავლებელს. რატომ არ იწვის წყალიო და თავად არისო წვის პროდუქტი. ასეა ამჯერადაც, კომპიუტერი თავად გახლავთ წერა-კითხვის, წიგნის, ადამიანის გონების პროდუქტი.

თუ მაგარი ბიჭია, მაშინ თვითონ ჩამოვიდეს „მისი აღმატებულება“ კათედრასთან და ერთი მეთოდურად გამართული გაკვეთილი ჩაგვიტაროს!

**მოსე მწერალი**



თბილისის 135-ე ბაგა-ბაღი სანიმუშოა

# სიკეთე და სიყვარული – რამდენიც გინდა!

**ამ** საბავშვო დაწესებულებაში ყველაფერი კოხტა, თვალშისაცემი და მშვენიერია. გარეგნული იერ-სახის გარდა, თბილისის 135-ე საბავშვო ბაგა-ბაღი გამოირჩევა სანიმუშო აკადემიური მოსწრებით, დისციპლინით და პატარებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით. აქ ცეროდენებს ნამდვილად მოუხარიათ და მშობლებიც უსაზღვროდ კმაყოფილები არიან.



ბაღს სათავეში უდგას გამოცდილი, ენერგიული და უაღრესად კეთილშობილი ქალბატონი – **თამარ ხარშილაძე**, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს ბავშვები და მოწოდებით პედაგოგია. იგი თავდაპირველად აღმზრდელად მუშაობდა, შემდეგ საქართველოს პარლამენტის კვლევით დეპარტამენტში, უფროს სპეციალისტად განაგრძო მოღვაწეობა, საბოლოოდ კი, ისევ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას დაუბრუნდა.

ქალბატონი თამარი, უკვე ათი წელიწადია შესანიშნავად უძღვება ამ ბაგა-ბაღს და დიდი ავტორიტეტით სარგებლობს კოლეგებსა და თანამშრომლებს შორის. იგი ბუნებით ესთეტია და სურს, რომ მის ირგვლივ, ყველაფერი მოწესრიგებული და ჰარმონიული იყოს. ამიტომაც თავს არ ზოგავს, რათა ბაღში იყოს იდეალური გარემო, კომფორტი და სისუფთავე. დირექტორს მხარში უდგას ბაღის მრავალრიცხოვანი კოლექტივი, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობენ, რათა პატარებს სასიამოვნო გარემო შეუქმნან. აღსაზრდელებს, დედობრივ მზრუნველობასთან ერთად, შემოქმედებით უნარებსაც უვითარებენ. ტარდება ხალისიანი ღონისძიებები, ზეიმები, კონცერტები, სპორტული შეჯიბრებები. ბაღში წარმატებით ხორციელდება **„სასკოლო მზაობის''** პროგრამა. გაიზარდა ბავშვთა რაოდენობა, ამჟამად აქ 417 ბავშვია და 12 ჯგუფი.

ბაგა-ბაღის ეზო უაღრესად მოწესრიგებულია, რომელსაც ამშვენებს სხვადასხვა სათამაშოები და მრავალფეროვანი მწვანე ნარგავები.შენობაში შესვლისთანავე, თვალში მოგხვდებათ შესანიშნავი დიზაინით გაფორმებული ინტერიერი და დერეფნები, რომელსაც ალამაზებს ათასგვარი ყვავილები, თვალსაჩინოებები, ნახატები, აპლიკაციები და სხვადასხვა ნაკეთობები. ეს ყველაფერი კი, აქაური მესვეურების ნახელავია, თვალსაჩინოებების განახლება წელიწადის დროების მიხედვით ხდება და ამ პროცესში, პედაგოგებთან ერთად, პატარებიც მონაწილეობენ. ინფრასტრუქტურაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, იგი აბსოლუტურად, მოწესრიგებულია, გარემონტებულია სველი წერტილები, საბავშვო ოთახები, საძინებლები, საკონცერტო დარბაზი და სხვა. ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის – **თემურ თორდინავას** დახმარებით, ბევრი რამ გაკეთდა, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობა და ბაღი აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით. რაც შეეხება კვებას, როგორც სხვა ბაღებში, აქაც იდეალურია, სადაც დაცულია კალორიულობა, ცილებისა და ცხიმების თანაფარდობა.

მოკლედ, აქაურობას, ერთი შეხედვითაც ეტყობა მზრუნველი დიასახლისის ხელი და ამიტომაც არის, რომ ბაღმა არაერთ წარმატებას მიაღწია, იგი დასახელებულია დედაქალაქის, ერთ-ერთ საუკეთესო საბავშვო დაწესებულებად .

ბაღი მუშაობს გუნდურობის პრინციპით, ყველა თანამშრომელი შესანიშნავად უგებს ერთმანეთს და არის მეგობრული ატმოსფერო. ისინი, სხვადასხვა ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობენ და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ პატარებს ვარდისფერი ბავშვობა ქონდეთ.

დირექტორი მაღალ შეფასებას აძლევს მისი მოადგილის **ქეთევან ყოლბაიას,** მეთოდისტის **მარინე ხუციშვილის,** ფსიქოლოგის **ვიოლეტა მახარაძის** და მნე **თეო მაზანაშვილის** საქმიანობას, რომლებიც თავისი საქმის მაღალი პროფესიონალები არიან. ასევე, აღნიშვნის ღირსია ლოგოპედის **რუსუდან აბუსერიძის**, საქმის მწარმოებლების: **ირინე ჯანხოთელის, მაია ირემაძის** და **დალი ბერიაშვილის** საქმიანობა.

ბავშვების სისუფთავესა და ჯანმრთელობაზე ზრუნავს, ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **ნანა არაბული.** ცუგრუმელებს ცხოვრებას ულამაზებენ მუსიკის პედაგოგები: **თამარ მორჩილაძე** და **თამარ ტალახაძე**.

პატარების კვება მაღალ დონეზეა და მრავალფეროვანია. მათ გემრიელ კერძებს უმზადებენ მთავარი მზარეული **ირმა პაპუაშვილი** და მისი თანაშემწეები: **ნანული დავითლიძე, თინა ჟორჟოლიანი** და **ირმა ბიჭოშვილი.**



ბავშვებზე დედასავით ზრუნავენ და მათ სულს უფაქიზებენ ჩინებული აღმზრდელები: **ნათია მებუკე, თეა ზავრადაშვილი, შორენა ნიორაძე, ნათია სადაღაშვილი, მეშველიანი, სოფიო ლომიაშვილი, ჟუკა ფეიქრიშვილი** და **თათია წულაია.**

აღმზრდელებს გვერდში უდგანან გამოცდილი თანაშემწეები: **ელზა აბულაძე, ნანა აფრიდონიძე, ცირა ჯამალაშვილი, ინგა ნოზაძე, დალი მიქაბერიძე,**



**ვილი, მედეა გაფრინდაშვილი, ნათია გელოვნიშვილი, ირმა ტერაშვილი, დარიკო დოლიძე, ნეტა მერაბიშვილი, მაია ხვედელიძე, თამარ გორდეზიანი, მაია სარალიძე, დია გვაშელიშვილი, ნინა კარაპეტიანი, ეკა ქოიავა, ქეთი ნინო კაპანაძე, მაყვალა კვესიაშვილი, ეკა ქანაშვილი, ნათია ონეზაშვილი, მაია ჯაოშვილი, მანანა მამულაშვილი, თეა კვესიაშვილი** და **ლია ბაკაშვილი.**



135-ე ბაგა-ბაღი პოპულარული და მიმზიდველი რომ არის, ბაღის თითოეული თანამშრომლის დამსახურებაა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ტექპერსონალს. ქებას იმსახურებენ: **ციური ქარჩაიძე, დარიკო გვარამაძე, ირმა ჭაბაშვილი, მზია ხუსკივაძე, ეთერ კაპანაძე, ქეთო მჭედლოვა, თინა ფცქიალაძე, ლია გეჯაძე, მანანა ჭონქაძე, ფრიდონ ვაშაყმაძე, ნიკოლოზ ავალიშვილი** და **თამაზ ვაშაყმაძე**.

ერთი სიტყვით, ბაღის დირექტორი და მთელი კოლექტივი, ძალ-ღონეს არ იშურებს იმისთვის, რომ ეს საბავშვო დაწესებულება იყოს გამორჩეული და სანიმუშო. აქაური მესვეურები ბევრს ზრუნავენ, რომ პატარებს ზღაპრული გარემო შეუქმნან და მათ ცხოვრება გაულამაზონ.

**მზია გოგოძე**



ღმერთმა დაგლოცოთ, 90-ე ბაგა-ბაღელებო!

# თქვენზე ვზრუნავთ, პატარებო, დილა მშვიდობისა!

**ბავშვობისას** ყველანი სიხარულით დავაბიჯებთ საოცრებათა სამყაროში. ჩვენდა საბედნიეროდ, არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი სიცოცხლის უდიდეს ნაწილს პატარებთან ატარებენ და ცდილობენ, მათ ამ სამყაროს შეცნობის პირველი ნაბიჯები გაუადვილონ. თბილისში, ბათუმის ქუჩაზე, 1937 წლიდან ფუნქციონირებს 90-ე საბავშვო ბაგა-ბაღი, ამჟამად – „ვარსკვლავები“, სადაც წლების განმავლობაში, მოღვაწეობდნენ ნიჭიერი, გამოცდილი, შრომისმოყვარე აღმზრდელ-პედაგოგები, შემოქმედებითი თუ ტექნიკური პერსონალი.



ახალი დირექტორი **ლია მიდელაშვილი** დედაუნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. ყოველთვის თვლიდა, რომ კარგ ეკონომისტს ბუღალტერია კარგად უნდა სცოდნოდა, ამიტომაც, ჯერ მე-60 ბაგა-ბაღში დაიწყო ბუღალტრად მუშაობა, 1997 წლიდან კი 90-ე ბაღში ყოფილმა დირექტორმა – ქალბატონმა **ნანა ჯანელიძემ** მოიყვანა. 20 წლის განმავლობაში დიდი გამოცდილება მიიღო, ყველა წვრილმანსა და ნიუანსში გაერკვა და 2016 წლის მარტში კონკურსის შედეგად, ბაღების სააგენტომ დირექტორის თანამდებობაზე დანიშნა. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი – **ლაშა** და **მარიამ სინაძეები**, ორი შვილიშვილი – **ანასტასია ადამაშვილი** და **ალისა სინაძე**.

ბაგა-ბაღის მდგომარეობა იმ დროისათვის არც ისე სახარბიელო იყო. ზაფხულში სარემონტო სამუშაოები ჩატარდა, სამზარეულოს კანალიზაცია შეკეთდა, ეზოში ჭის თავსახური შეიცვალა, მე-7 ჯგუფის სამზარეულო გარემონტდა, ასევე შესასვლელი, მოიხატა კედელი, კიბის უჯრედის მოხატვაზეც მუშაობენ. გეგმაში გარე ფასადისა და ეზოს მოწყობაც აქვთ, რამდენადაც ბაღის ბიუჯეტი მისცემთ ამის საშუალებას. ამჟამად, ბაღში შვიდი ჯგუფია 255 ბავშვით, აქედან ორი გამოსაშვები და ერთი შერეული (4-5 და 5-6 წლიანები).

სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე ჩატარებულ ღია მეცადინეობებსა თუ თამაშებზე, შეჯიბრებებსა თუ საზეიმო ღონისძიებებზე გვესაუბრა მეთოდისტი **ეკატერინე შოვნაძე**. ნაყოფიერად და უნარიანად უძღვებიან თავიანთ საქმეს ფსიქოლოგი – **ხათუნა ბერიაშვილი** და ლოგოპედები – **დალი ფუტკარაძე** და **ნინო ფუტკარაძე**.



ნორჩების შემეცნებითი უნარების განვითარებას, ესთეტიკურ აღზრდას, მათი ინტერესების სფეროს გაფართოვებას, საკმაოდ კარგად უძღვებიან ბაგა-ბაღის აღმზრდელები: დიდი გამოცდილების მქონე ქალბატონი – **მანანა ასიტაშვილი**, ასევე, **ნინო ინაური**, **ეკატერინე ზაქარაშვილი**, **გიული მიქაძე**, **მაია მუშკუდიანი**, **თამარ ხარატიშვილი**, **ნათია ნუგზარიშვილი**, **ასმათ ასანიძე**, **ეკატერინე ლომოური**, **მეგი ოჩხიკიძე**.

განკრიალებულ, თვალსაჩინოებითა და სათამაშოებით გაჯერებულ ოთახებში მერცხლებივით ჭიკჭიკებენ პატარები. აღმზრდელებთან ერთად, მათ სითბოსა და ალერსს არ აკლებენ აღმზრდელის თანაშემწეები – **თამარ ლომიძე**, **ჟორჟეტა მიქელაძე**, **თეა მურცხველაძე**, **ციალა ხარხელაური**, **ნონა ჩოხელი**, **თეონა ნუგზარიშვილი**, **ნანა კალანდია**, **რუსუდან ნუგზარიშვილი**, **თამარ ანთაძე**, **თინათინ კალანდარიშვილი**, **ნინო ლობჟანიძე**.

ბაღის კეთილდღეობისთვის ზრუნვაში ქალბატონ ლიასთან ერთად, დიდი წვლილი შეაქვთ დირექტორის მოადგილეს – **ნინო ბურდულს**, საქმისმწარმოებელს – **მარეხ შინჯიკაშვილს**, მნეს – **მარგო ნამორაძეს**, ექთანს – **ფირუზი მინდაძეს**, დარაჯებს – **ალექსანდრე ქვილითაიასა** და **მამუკა ბესიაშვილს**.

ცუგრუმელების სულის სიფაქიზესა და ხელოვნების სიყვარულზე მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები – **თამარ ურუშაძე** და **მარიკა ბიჭიკაშვილი** ზრუნავენ.

კეთილმოწყობილი და კარგად აღჭურვილი სამზარეულოდან კერძების არომატული სუნი გამოდიოდა. როგორც უფროსმა მზარეულმა – **ვიოლა დოჭვირმა** აგვიხსნა, ბაღების სააგენტოდან სამი კვირის შედგენილი მენიუ მოდის, ყოველდღიურად დაფაზე იკვრება და მშობელს შეუძლია გაეცნოს, რით იკვებება მისი შვილი. უფროსი მზარეული 40 წელია აქ მუშაობს და ასეთი კვება სხვა დროს არც ახსოვს. სადილზე სამი სახის კერძი, ხორცი, ქათამი, თევზი, სალათები, ხაჭაპური, რძის პროდუქტები, ხილი, მათ შორის, ბანანი, კომპოტი და ა.შ. ქალბატონ ვიოლასთან ერთად, ბავშვთა კვებაზე ზრუნავენ მზარეულის დამხმარეები – **მადლენა ჯენდემიანი**, **ნათია შაფაქიძე**.



ქალბატონმა ლიამ განსაკუთრებულად გამოყო და გაწეული შრომისთვის სამადლობელი სიტყვები არ დაიშურა ტექნიკური მუშაკებისთვის: **რუსიკო ბალაშვილი** (დამლაგებელი), **ლენა მოსეშვილი** (დამლაგებელი); მრეცხავები: **შორენა კაპანაძე**, **ენძელა ბერუაშვილი**, **ეკატერინე ფოფხაძე**, **თეონა სიჭინავა**, **ნონა ბურაშვილი.** ისინი ქებას იმსახურებენ.

„მინდა, რომ ჩემი ბაღი ბრწყინავდეს“, – აღნიშნა ქალბატონმა **ლია მიდელაშვილმა** და ამისათვის თავდაუზოგავად შრომობს მთელ კოლექტივთან ერთად.

**ნათია გურგენიძე**

„კენგურუს“ მიმართვა

# საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების დირექტორებს!

**მიმდინარე** წლის 18 მარტს, ქ. თბილისში, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ჩატარდება მსოფლიოში ყველაზე პოპულარული, სახალისო და საინტერესო მათემატიკური კონკურსი **„კენგურუ“**.

**„კენგურუს“** სახალხო უნიკალურ ამოცანებს სხვა კონკურსები ვერ უწევენ კონკურენციას, მისი ამოცანები 60-ზე მეტი ქვეყნის გამოჩენილ მეცნიერთა ერთობლივი ნამუშევარია.

კონკურსი **„კენგურუ“** გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი, როგორც მოსწავლეთა ყველაზე მასობრივი შეჯიბრება. მასში 75-ზე მეტი ქვეყანაა ჩართული და 6-მილიონზე მეტი მოსწავლე მონაწილეობს,. კონკურსში გამარჯვებულები ევროპის (**საფრანგეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთის** ზაფხულის საერთაშორისო ბანაკების საგზურებით ჯილდოვდებიან).

კონკურსში მოსწავლეთა აქტიურად ჩართვისთვის კი განხორციელდება სკოლების კოორდინატორის მორალური და სხვა წამახალისებელი ღონისძიებები.

**„კენგურუს“** მთავარი ორგანიზატორია ასოციაცია **„ბალავარი“**, ასევე ორგანიზატორია **„საქართველოს მათემატიკოსთა საზოგადოება“**.

ძვირფასო სკოლების ხელმძღვანელებო, გამოიჩინეთ კეთილი ნება და თქვენს მოსწავლეებს დროულად მიაწოდეთ ინფორმაცია ასოციაცია „ბალავარის“ ვებ-გვერდის მითითებით: www.balavarigeorgia.ge. ტელ.: 574106233.

კონკურსის მონაწილეთა რეგისტრაცია განხორციელდება მკაცრად განსაზღვრულ დროში, 23 იანვრიდან 15 მარტის ჩათვლით. კონკურსში მონაწილეობენ მოსწავლეები მე-2-დან მე-12 კლასის ჩათვლით. სარეგისტრაციო გადასახადია 18 ლარი.

რეგისტრაცია მოიცავს 1) სარეგისტრაციო საფასურის შეტანას **„ბალავარის“** ანგარიშზე და 2) ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირებას.

**„ბალავარის“** საბანკო რეკვიზიტებია, ბანკი: სს. საქართველოს ბანკი, მიმღები: ასოციაცია „ბალავარი“.

**საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების დირექტორებო და მოსწავლეებო, გისურვებთ კონკურსში აქტიურ ჩაბმას და წარმატებებს.**

**ასოციაცია „ბალავარი“,**
**საქართველოს მათემატიკოსთა**
**საზოგადოება**

## თამარ გურაშვილი – 60

# დირექტორი, რომელიც ყველას გვიყვარს!



**ჩვენი გაზეთის** მკითხველი კარგად იცნობს თბილისის 152-ე საჯარო სკოლას, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული სასწავლო დაწესებულებაა, ამიტომაც, აქ მოსწავლეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა.

სკოლის ხელმძღვანელი გახლავთ ამაგდარი პედაგოგი, გამოცდილი და შემოქმედი დირექტორი **თამარ გურაშვილი**.

ქალბატონი თამარი 35 წელია პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. აქედან, ოცდაათწლიანი დირექტორობის გამოცდილება აქვს. ღვაწლმოსილ პედაგოგს დიდი დამსახურება მიუძღვის სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში და ამიტომაც, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, როგორც მოსწავლეებში, ასევე კოლეგებში. ერთი სიტყვით, მეტად კეთილშობილი პიროვნებაა.

სამწუხაროდ, ბოლო დროს ძალზე იშვიათია ამაგდარ, ღვაწლმოსილ ან იუბილარ პედაგოგებზე და სკოლის დირექტორებზე წერა. დამსახურებულ პედაგოგს – **თამარ გურაშვილს** ახლახან საიუბილეო თარიღი ჰქონდა, მას 60 წელი შეუსრულდა.

სახელოვან პედაგოგს და შესანიშნავ დირექტორს, ეს ღირსშესანიშნავი თარღი ასე მიულოცეს კოლეგებმა:

– მას შემდეგ შვიდმა ლამაზმა წელიწადმა განვლო, რაც ჩვენს სკოლაში შემოაბიჯა სათნო, კეთილშობილმა და დიდსულოვანმა ადამიანმა **თამარ გურაშვილმა**. ქალბატონი თამარი შემოქმედი და საოცრად ფაქიზი სულის მქონე ადამიანია და წვდება თითოეული ჩვენგანის გულს. არის ყველასათვის ერთგული, გულისხმიერი, მზრუნველი და მოსიყვარულე მეგობარი.

152-ე სკოლაში მოსვლის დღიდან, ქალბატონი თამარი ზრუნავს უსაფრთხო და განმავითარებელი გარემოს შექმნაზე. ბევრს აკეთებს მოსწავლეებისთვის მაღალხარისხიანი განათლების მიცემის, მათში დადებითი ღირებულებების ჩამოყალიბების მიზნით. იგი, დიდი რუდუნებით ეპყრობა ყოველ წამოწყებულ საქმეს, რაც დადებითად ისახება სწავლების ხარისხსა და სკოლაში შექმნილ ჯანსაღ გარემოზე. ინიციატივიანია და ნოვატორი.

12 თებერვალს, ქალბატონ თამარს დაბადებიდან 60 წელი, ხოლო სკოლის ხელმძღვანელობის 30 წელი შეუსრულდა. ორივე ლამაზი თარიღია. მთელი კოლექტივი ულოცავს მას იუბილეს. უსურვებს ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ჩვენს გვერდით მრავალი ბედნიერი წლის გატარებას.

მოდით, წუთით მაინც წარმოვიდგინოთ.... სკოლის ღია ჭიშკარი, მოსწავლე და მასწავლებელი, ყველა ერთნაირი მოლოდინითა და იმედით... და ისიც-შემართული, ენერგიული, სამართლიანად მკაცრი და მომთხოვნი, მოსიყვარულე და სანდო. ყველა ბავშვი უყვარს და სტკივა, ყველა მასწავლებელი მისი ოჯახის წევრია. ჩვენი ოჯახი ხომ სკოლაა, პედაგოგის ცხოვრების აზრი კი – სკოლაში გატარებული დრო და მოგვარებული პრობლემებია. და, ხანდახან, აღარ რჩება ადგილი პირადულისთვის, ხანდახან ფიქრის მიღმა რჩება შვილიც და მის ადგილს იკავებენ სხვისი შვილები... და გრძნობ, რომ არ გაქვს უფლება უღალატო, გვერდით არ დაუდგე, მასავით არ გიყვარდეს, მასავით არ გტკიოდეს და არ ზრუნავდე. ამ ფიქრებით და მიზნებით არის განმსჭვალული **თამარ გურაშვილის** ცხოვრება. უკან დარჩენილი დრო, თვალებში ფარული დარდი, მაღალი ნათელი შუბლი და საოცარი ღიმილი. ღიმილი არ მოგიშალოთ ღმერთმა ქალბატონო თამარ!

ერთ წერილში გაგვიჭირდება ყველაფრის გადმოცემა, მაგრამ ყველაზე მთავარი ის სითბო და სიყვარულია, რაც მან მოიპოვა ჩვენი სკოლის ხელმძღვანელობის პერიოდში. **თამარ გურაშვილს** დიდხანს მოღვაწეობას და ჯანის სიმრთელეს ვუსურვებთ.

**152-Ე ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ**

**P.S. გაზეთ „სახალხო განათლება+"-ის რედაქცია გულმხურვალედ ულოცავს იუბილეს ქალბატონ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲒᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲡ და ყოველივე კარგს უსურვებს.**

## „ერის სული, მისი ნამუსი – ენა, მამული, სარწმუნოება"

# ზეიმობდა ცოდნა და ნიჭი



**ასეთი** სასწავლო-აღმზრდელობითი ღონისძიებები გაკვეთილებზე არანაკლებ ქმედითი და ემოციურია, ახლახან თბილისის 150-ე საჯარო სკოლაში ჩატარდა პატრიოტული სულისკვეთებით აღბეჭდილი ღონისძიება **იოსებ ნონეშვილის** პოეზიის მიხედვით **„ღმერთი და ხელები"**. ინიციატორი და სულისჩამდგმელი ამისა გახლდათ გამოცდილი პედაგოგი, მე-3ბ კლასის დამრიგებელი **მაია ბერუაშვილი**. წინასწარ ვიტყვით, მისმა ცეროდენებმა ასახელეს სკოლა და თავად მასწავლებელი.

დირექციისა და მშობლების მხარში დგომით მეტად საინტერესო შემეცნებითი ღონისძიება გამოვიდა. პატრიოტული თემა **„ეს ხომ ჩვენი ლამაზი სამშობლოა"**, დღეს მეტად აქტუალურია. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ მომღერლები, მოცეკვავეები, დეკლამატორები. ბავშვებმა რთული მისია პირნათლად შეასრულეს, თავიანთი შემოქმედებით მაყურებელი მოხიბლეს: **მარი აზნარაშვილმა, გია ალთუნაშვილმა, ირაკლი არჯევანიძემ, სერგი ბედენაშვილმა, ილია გაგოშიძემ, საბა გელაშვილმა, თეკლე ზაალიშვილმა, ნინო კალანდაძემ, მარი მათიაშვილმა, გია მალანიამ, მიქაელ მარდალეიშვილმა, ნიკა ნაკვეთაურმა, შოთა ნეფარიძემ, დათო სამსონიძემ, გია სოზაშვილმა, საბა ტორუამ, არჩილ უნგიაძემ, სანდრო ღველაშვილმა, ნია ჩიქოვანმა, მარი ხაბალაშვილმა, ირაკლი ღუდუშაურმა, ნიკა ჭიჭინაძემ** და **რევაზ თევზაძემ**.

დიდი მადლობა გადაუხადეს ცეროდენებსა და მათ დამრიგებელს სკოლის დირექტორმა **ირაკლი მექვევრიშვილმა**, მისმა მოადგილემ, **თამილა ჩუბინიძემ**, სიტყვით გამოსულებმა. მაიკო მასწავლებლის შრომის ნაყოფი ღირსეულად დაფასდა, იგი სკოლის „საპატიო სიგელით" დაჯილდოვდა. **მაია ბერუაშვილი** სიყვარულით შესცქეროდა თავის აღსაზრდელებს, მიულოცა გამარჯვება და **„წარმატების ვარსკვლავი"** გაუხსნა მათ: - დაე, ეს ვარსკვლავი ყოფილიყოს სიმბოლო თქვენი კარგი სწავლისა, მამულის სიყვარულისა, „ვარსკვლავური ცხოვრებისა! მომავალი ჩვენია!" – ასე დალოცეს პატარები.

**დაუვიწყარი იქნება ეს ღონისძიება.**

**ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲤᲝᲩᲮᲘᲫᲔ**



## ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია

# „ვარჯიში და თამაში გვეხმარება სწავლაში!"

**ᲗᲔᲚᲔᲗᲘᲡ** საჯარო სკოლის მეოთხე კლასში, დამრიგებლის **ირმა ასლამაზიშვილის** თაოსნობით ჩატარდა სპორტული ზეიმი **„მხიარული სტარტები"** დევიზით: **„ვარჯიში და თამაში გვეხმარება სწავლაში!"**



მისი მიზანი შემეცნებით-გასართობი შეჯიბრის მეშვეობით მოზარდ თაობებში სპორტისა და ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, აგრეთვე შიდასასკოლო და სკოლათშორისი საშეჯიბრო სისტემის განვითარება, მშობელთა ჩართულობისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლება გახლდათ.

„– ამ აქტივობაში ჩემმა მოსწავლეებმა აჩვენეს, თუ როგორი ყოჩაღები, გონიერები და ღონიერები არიან. რაც ყველაზე მთავარია, პროექტმა ხელი შეუწყო კლასის გუნდურობას, მოსწავლეების და მასწავლებლის ერთმანეთთან დაახლოებას. ასეთ ზეიმს მეტი დატვირთვა აქვს, როცა



კლასში ირიცხება (სსსმ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. ინკლუზიური განათლების საერთაშორისო მოდელის მიხედვით, სსსმ მოსწავლე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის და კლასის სრულუფლებიანი წევრია, ის უნდა მონაწილეობდეს სასკოლო აქტივობებში. ჩემს მიერ ჩატარებულ **„მხიარულ სტარტებში" ნიკოლოზ მერაბიშვილმა** მიიღო აქტიური მონაწილეობა.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მეოთხე კლასელებს და მათ მშობლებს ჩემს მიერ ჩატარებულ სხვადასხვა აქტივობებში დაუზარელი მონაწილეობისათვის" – გვითხრა კლასის დამრიგებელმა **ირმა ასლამაზიშვილმა**. იმრავლოს ასეთმა ზეიმებმა!

მთ. რედაქტორი ᲑᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲨᲕᲔᲚᲐᲫᲔ

სახალხო განათლება+ № 4 (4543)
22 თებერვალი, 2017 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ᲠᲔᲓᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113